Safe Online

Partnership for Human Rights

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

როგორ დავიცვათ ბავშვები ? ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ONLINE ძალადობისგან ?



განმარტებები

ონლაინ ძალადობა

- ციფრული მოწყობილობების საშუალებით ბავშვის მიმართ განხორციელებული ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს მას.
- მაგალითად, მიმოწერისა და ზარების საშუალებით შევიწროება და ძალადობა, ასევე, შანტაჟი, მუქარა, ასევე, ბავშვის ფოტო/ვიდეო მასალის უნებართვოდ გავრცელება.

ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია

- ციფრული მოწყობილობების საშუალებით ბავშვის იძულება ან მანიპულაცია მის სექსუალურ აქტივობებში ჩასართავად, ფინანსური ან სხვა სარგებლის მისაღებად.
- ეს მოიცავს მოგების მიზნით ბავშვის ფოტოს ან ვიდეოს მოპოვება/გავრცელებას ონლაინ. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა ტრეფიკინგი ან ბავშვთა სექსუალური ძალადობის მასალის წარმოება.



ინფორმაცია ბავშვებს

პირი სავარაუდოდ მოძალადეა, როცა:

- გწერს ისეთ მესიჯებს ან გესაუბრება ისეთ თემაზე, რომელიც შენ თავს უხერხულად ან ცუდად გაგრძნობინებს, მანიპულირებს ან გემუქრება;
- გთხოვს აჩვენო სხეულის ინტიმური ნაწილი, ან გაუგზავნო ფოტო/ვიდეო;
- გიგზავნის თავისი სხეულის ნაწილის ფოტოს, გწერს სექსუალური შინაარსის ვიდეოს ან ტექსტს;
- გესაუბრება ინტიმურ (ძალიან პირადულ) თემებზე, გთხოვს გაუზიარო პირადული ამბები, თანაგრძნობის გზით ცდილობს კეთილგანწყობის მოპოვებას.

ინტერნეტით გაცნობილი ადამიანი შეიძლება გაგეცნოთ სხვისი სახელითა და გვარით, მოიტყუოს ასაკი და გამოგიგზავნოთ სხვისი ფოტო.

- მსგავს სიტუაციაში შეშფოთება, დისკომფორტი, სევდა და შიში ბუნებრივია. მაგრამ, **არ შეეცადო მარტო გაუმკლავდე ამ პრობლემას**. შენი სიჩუმე მოძალადეს ყველაზე მეტად ეხმარება.

- ამიტომ, მნიშვნელოვანია იცოდე, რომ **შენი დაცვა უფროსების მოვალეობაა**. შეგიძლია მიმართო ადამიანს, რომელსაც ენდობი (მშობელი, მასწავლებელი, სოც. მუშაკი, ექიმი). ისინი დაგაკავშირებენ პროფესიონალებთან.

რა შეგიძლიათ მშობლებს?

- ხშირად **ესაუბრეთ თქვენს შვილებს ონლაინ სივრცეში არსებულ საფრთხეებზე**. იმეგობრეთ მათთან. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ შეუძლიათ თქვენი ნდობა.

- თუ ეჭვი გაგიჩნდებათ ან დახმარებისთვის შვილი მოგმართავთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ გაბრაზდეთ ბავშვზე. არ აგრძნობინოთ მას თავი დამნაშავედ. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და შვილთან ერთად მიმართეთ სამართალდამცავებს.

როგორ დაიცვათ თავი?

- არ ეკონტაქტო უცნობ ადამიანებს ონლაინ;
- ინტერნეტში არავის გაუზიარო შენი პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, სკოლა და სხვა;
- არავის გაუგზავნო შენს/შენი ოჯახის შესახებ ისეთი ამბავი ან ინფორმაცია, რაც არ გინდა რომ სხვებმაც იცოდნენ;
- არავის გაუგზავნო შენი ფოტო/ვიდეო, მითუმეტეს ისეთი, რომლის საჯაროდ ჩვენებასაც არ ისურვებდი;
- ძალადობის ნიშნების ან საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, არ წაშალო მიმოწერა, ყველაფერი შეინახე და მიმართე შენთვის სანდო ადამიანს.

აღნიშნული გამოცემა განხორციელდა ევროპის საბჭოსა და Safe Online-ის მხარდაჭერით

Safe Online

Partnership for Human Rights

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE